საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთარუსთაველისსახელმწიფოუნივერსიტეტი
ა კ ა დ ე მ ი უ რ ი ს ა ბ ჭ ო

მისამართი: 6010, ქ. ბათუმი,
ნინოშვილის ქ., №35

ტელ/ფაქსი: (+995 222) 27 17 87
ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 52

2016 წლის14 ივლისი,
ქ. ბათუმი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ვადების განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №121/ნ ბრძანების, „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის 99/№ნ ბრძანების, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2015 წლის 13 ივლისის №492 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული სტანდარტის, საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის და მოდულის შემუშავების წესის“, ,,ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული მოდულური პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 29 ივლისის N86 დადგენილების, ,,ტექნოლოგიური ფაკულტეტის „არქიტექტორ ტექნიკოსის“ პროფესიული საგანმანათლებლო მოდულური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 29 ივლისის N88 დადგენილების, ,,ბსუ–ს ფიზიკა-მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტის „პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპერის V საფეხურის“ და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ,,ბეჭდური და ონლაინგამოცემების რეპორტიორის IV საფეხურის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 26თებერვლის N9 დადგენილების საფუძველზე აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამები განხორციელდეს:

ა) ტექნოლოგიური ფაკულტეტის „არქიტექტორ ტექნიკოსის“ პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო მოდულური პროგრამის ვადები 2015 წლის 4 ნოემბერი - 2017 წელი **(დანართი N1);**

ბ) პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპერის V საფეხურის პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების ვადები - 2016 წლის 16 მაისი - 2018 **(დანართი N2).**

გ) ,,ბეჭდური და ონლაინ გამოცემების რეპორტიორის IV საფეხურის“ პროფესიული მოდულური საგანმანათლებწელილო პროგრამების ვადები - 2016 წლის 16 მაისი - 2018 წელი**(დანართი N3);**

2. დადგენილება საჯარო გაცნობისათვის განთავსდეს ბსუ–ს კანცელარიასთა და შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატთან თვალსაჩინო ადგილებზე, ასევე ბსუ–ს ვებ–გვერდზე და სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს ბსუ–ს სტრუქტურულ ერთეულებს.

3. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს სხდომის
თავმჯდომარე, პროფესორი **გურამ ჩაგანავა**

ბსუ შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
SHOTA RUSTAVELI STATE UNIVERSITY
აკადემიური საბჭო
ACADEMIC COUNCIL